სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 9 21 0000710193

14/07/2021

**„სტრუქტურული რეორგანიზაციისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სტუ-ის რექტორის 2021 წლის 01 ივლისის #656496 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის პირველი ეტაპის დავალებების მომზადებისა და შეფასების ჯგუფების შემადგენლობისა და შეფასების ქულების განსაზღვრის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 54-ე და 55-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსის, თ.ჟვანიას სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1.„სტრუქტურული რეორგანიზაციისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სტუ-ის რექტორის 2021 წლის 01 ივლისის #656496 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის პირველი ეტაპის - კონკურსანტების კომპიუტერთან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმების მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფები შემდეგი შემადგენლობით:

- **დავალებების მომზადების ჯგუფი:**

თალიკო ჟვანია;
თამარ ლომინაძე;
დავით კაპანაძე.

- **ნაშრომების შეფასების ჯგუფი:**

მზია კიკნაძე;
თეა თოდუა;
ლილი პეტრიაშვილი;
ნონა ოთხოზორია;
ეკატერინე როჭიკაშვილი;
სოფიკო გოგოლაძე;
ლალი ტოკაძე;
ეკატერინე ბოჭორიშვილი.
2. განისაზღვროს შეფასების ქულების განაწილება შემდეგი წესით:

- დოკუმენტის შექმნა და დაფორმატება პროგრამა MS Word-ის გამოყენებით - 20 ქულა;
- მონაცემთა დამუშავება/ანალიზი პროგრამა MS Excel-ის გამოყენებით - 30 ქულა;
- ბრაუზერთან და ფაილებთან მუშაობა - 5 ქულა.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და მისი გაცნობა სტრუქტურული ერთეულებისათვის უზრუნველყოს სტუ-ს კანცელარიამ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე